პრიმო

სახლის დაზღვევის

პირობები #R/HVP/Primo - 001/23

მისალმება პრიმოსგან

მოგესალმებით პრიმოს გუნდის სახელით,

პრიმო ინდივიდუალური ურთიერთობის სივრცეა, სადაც შესაძლებლობა გეძლევათ მიიღოთ მაქსიმალურად სრულყოფილი სერვისი სპეციალურად თქვენზე მორგებული უპირატესობებით, ექსკლუზიური დაფარვებითა და განსაკუთრებული პირობებით.

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე 33-წლიანი გამოცდილება თამამად გვაძლევს უფლებას გითხრათ, რომ თქვენ საიმედო ხელში ხართ. როგორც პრიმოს მომხმარებელს, თქვენ გყავთ პერსონალური მენეჯერი, რომელიც შეძლებს ნებისმიერ დროს გიპასუხოთ საჭირო კითხვაზე ან დაგეხმაროთ სასურველი სერვისის მიღებაში.

მადლობა, რომ თქვენი ქონების დაზღვევისთვის ჩვენ აგვირჩიეთ!

I სექცია - პოლისის შეძენისას

ეს პირობები, პოლისთან და დაზღვევის განაცხადთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ აქ მოცემულ პირობებს. მიუხედავად ჩვენი დეტალური და ამომწურავი განმარტებისა, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე პირობა **თქვენთვის** ბუნდოვანი, ორაზროვანი ან გაუგებარია, **ჩვენ** მზად ვართ ამომწურავი განმარტებები მოგაწოდოთ. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი სიტყვა და დაზღვევისთვის სახასიათო ტერმინი გამუქებული და ახსნილია შესაბამის სექციაში.

„სხვა ტიპის ხელშეკრულებთან შედარებით, დაზღვევის ხელშეკრულების ორივე მხარეს მოეთხოვება პატიოსნების გაცილებით უფრო მაღალი დონე“

უკიდურესი კეთილსინდისიერების პრინციპი

რაზე ვთანხმდებით

ერთი მხრივ **ჩვენ** (მზღვეველი, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“) და მეორე მხრივ **თქვენ** (დამზღვევი), ვთანხმდებით:

ძირითადი დათქმა

თქვენ მიერ **პრემიის** გადახდის სანაცვლოდ, **ჩვენ** აგინაზღაურებთ **დაზღვეული შემთხვევით** გამოწვეულ ზარალს.

უკიდურესი კეთილსინდისიერება

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ღიად და ნათლად წარმოვაჩინოთ აქ მოცემული დაფარვის პირობები. ამავდროულად, **თქვენგანაც** მოველით დაზღვეულ რისკთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნებას ჩვენი ურთიერთობის ყველა ეტაპზე. კერძოდ, აუცილებელია, რომ **თქვენც** გაგებისთანავე გვაცნობოთ დაზღვეული შენობის რეკონსტრუქციის, მესამე პირის მხრიდან ქონების დაზიანების განზრახვის/მუქარის შესახებ, ასევე წარმოგვიდგინოთ განაცხადში მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები (მაგ. **დაზღვეული ქონების** სხვა მიზნით გამოყენება).

სადაზღვევო ლიმიტები

თქვენ, განაცხადის შევსებისას, უთითებთ/ირჩევთ **სადაზღვევო ლიმიტებს** და **ქველიმიტებს**, **ძირითადი** და **დამატებითი პროდუქტის** და მათი შემადგენელი ელემენტებისთვის. **სადაზღვევო ლიმიტი / ქველიმიტი** არის მაქსიმალური თანხა, რომელიც **თქვენ** შეიძლება მიიღოთ ანაზღაურების სახით, მიუხედავად **დაზღვეული შემთხვევების** რაოდენობის და განცდილი ზარალების სიდიდისა, ის ამოწურვადია და მცირდება ყოველ ჯერზე გაცემული ანაზღაურების ოდენობით. **ქველიმიტი** წარმოადგენს **სადაზღვევო ლიმიტის** შემადგენელ ნაწილს და არა დამატებით თანხას.

ფრანშიზა

ჩვენ და **თქვენ** შორის, რისკის გადანაწილების მიზნით, პოლისში, განისაზღვრება **ფრანშიზა**, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას (შესაძლოა გამოისახოს როგორც **სადაზღვევო ლიმიტის** ან ზარალის პროცენტი ან დღეების რაოდენობა). რისკის გადანაწილება ხდება შემდეგნაირად: ყოველი ზარალის დროს, თუ **დაზღვეული შემთხვევით** გამოწვეული ზარალი ნაკლებია **ფრანშიზაზე** მას მთლიანად ფარავთ **თქვენ**, ხოლო თუ ზარალი **ფრანშიზაზე** მეტია, **თქვენ** ფარავთ **ფრანშიზის** ტოლ ნაწილს და დანარჩენს ვფარავთ **ჩვენ**.

შეტყობინებები

შეტყობინება შეგვიძლია გამოგიგზავნოთ წერილობით, მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების გზით პოლისში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე. საკონტაქტო მონაცემების ცვლილებების შემთხვევაში, ვალდებული ხართ შეგვატყობინოთ ამის შესახებ. ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოუწოდებლობის შემთხვევაში, **ჩვენ** მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/დოკუმენტაცია ჩაითვლება **თქვენ** მიერ მიღებულად.

დავების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან. მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავები გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ, რომ ანაზღაურების თავში მოცემულია, თითოეული პროდუქტის ანაზღაურების გამოთვლის წესი.

„სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილ ზარალს“
კომპენსაციის პრინციპი

ანაზღაურება

ანაზღაურების სიდიდის დადგენა - კონსტრუქცია

კერძო სახლის / აგარაკის **კონსტრუქციის** დაზიანების/განადგურების შემთხვევაში:
ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც განადგურებული/დაზიანებული **კონსტრუქციის**, შემთხვევის დადგომის მომენტში, ახალი მასალით, აღდგენის/განახლების ღირებულება (მაგრამ არაუმეტეს **დაზღვეული შემთხვევის** დადგომის წინ, იგივე კერძო სახლის / აგარაკის საბაზრო ღირებულებისა).

ბინის **კონსტრუქციის** დაზიანების/განადგურების შემთხვევაში:
ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც დაზიანებული **კონსტრუქციის**, შემთხვევის დადგომის მომენტში, ახალი მასალით, აღდგენის/განახლების ღირებულება (მაგრამ არაუმეტეს იგივე/მსგავს ლოკაციაზე, მსგავსი **კონსტრუქციის** საბაზრო ღირებულებისა). იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქცია აღდგენას არ ექვემდებარება, ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც ჩანაცვლების ღირებულება, რაც თავისთავად გულისხმობს, შემთხვევის დადგომის მომენტში, იგივე/მსგავს ლოკაციაზე, მსგავსი **კონსტრუქციის** საბაზრო ღირებულებას.

მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსი

დაზიანების/განადგურების შემთხვევაში:
ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც, შემთხვევის დადგომის მომენტში, ახალი მასალით/ნაწილებით, აღდგენის/განახლების ღირებულება. ის ერთეულები კი, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება, მაგ. დაკარგვის ან განადგურების გამო, ჩანაცვლების ღირებულებით შეფასდება. რაც თავისთავად გულისხმობს, იგივე/მსგავს მდგომარეობაში მყოფი (იგულისხმება რა მდგომარეობაშიც იყო ერთეული, შემთხვევის დადგომის წინ), მსგავსი, ერთეულის საბაზრო ღირებულებას.

მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსის სექციით ანაზღაურდება მხოლოდ იმ **ავეჯის, ტექნიკის და საყოფაცხოვრებო ნივთების** დაზიანებით გამოწვეული ზარალი, რომლებიც მოცემულია **დანართი 1**-ის ჩამონათვალში. ამასთან, თუ ზარალი ამავე **დანართის ქველიმიტების** ჯამის 50%-ს გადააჭარბებს, დამატებით, ერთჯერადად, გაიცემა **მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსის ქვე-ლიმიტის** 2.5%, რომელიც განკუთვნილია, ისეთი წვრილი საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, რომელიც არ არის მითითებული **დანართი 1**- ში.

მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობა / მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობა

ზარალის სიდიდეს წარმოადგენს შესაბამისი **პროდუქტის დაზღვეული რისკით** გამოწვეული **თქვენი** მატერიალური პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე **(მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობის** დაფარვის შემთხვევაში მოიჯარის წინაშე). დაზარალებულ მხარესთან ნებისმიერი სახის მოლაპარაკება უნდა აწარმოოთ **ჩვენთან** შეთანხმებით. დაზარალებულ მხარესთან ანაზღაურების ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ზარალის სიდიდე განისაზღვრება, სასამართლოს მიერ, **თქვენზე** დაკისრებული მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, **ჩვენთან** წინასწარ შეთანხმების საფუძველზე ასევე ავანაზღაურებთ, **თქვენ** მიერ სასამართლო და სასამართლოს გარეშე გაწეულ ხარჯებს.

მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ გამოწვეული ზარალი

ზარალის სიდიდეს წარმოადგენს მოიჯარის მატერიალური პასუხისმგებლობა **თქვენ** წინაშე. მოიჯარესთან ანაზღაურების ოდენობაზე შეთანხმება უნდა აწარმოოთ **ჩვენგან** მიღებული ინსტრუქციით. მოიჯარესთან ანაზღაურების ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ზარალის სიდიდე განისაზღვრება, სასამართლოს მიერ, მასზე დაკისრებული მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, **ჩვენთან** წინასწარ შეთანხმების საფუძველზე ასევე ავანაზღაურებთ, **თქვენ** მიერ სასამართლო და სასამართლოს გარეშე გაწეულ ხარჯებს.

საიჯარო შემოსავლის დაკარგვა

ზარალის სიდიდეს წარმოადგენს მიუღებელი საიჯარო შემოსავალი (მაგრამ არაუმეტეს, მსგავს ლოკაციაზე არსებული, მსგავსი ბინის 6 (ექვსი) თვის საბაზრო საიჯარო შემოსავლისა). მიუღებელი საიჯარო შემოსავლის დასადგენად ვიყენებთ ისეთ წყაროს, როგორიცაა მოქმედი და წინა პერიოდის განმავლობაში არსებული ქირავნობის ხელშეკრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **თქვენი** საბანკო ანგარიშის ამონაწერი (საიდანაც დგინდება საიჯარო შემოსავლის მიღება/არსებობა). ზემოხსენებული 6 (ექვსი) თვის დაკარგული შემოსავლის განსაზღვრის დროს უფლებას ვიტოვებთ გავითვალისწინოთ საიჯარო ფასზე სეზონურობის გავლენა.

სადაზღვევო ლიმიტიდან, ანაზღაურების სახით გაიცემა, თითოეული **პროდუქტის** შემადგენელი ელემენტისთვის ზემოთ მოყვანილი წესით შეფასებული ზარალის დაჯამებულ თანხას გამოკლებული **ფრანშიზა**.

შემცირებულ ფართზე დაზღვევა

თუ ზარალის შეფასების ეტაპზე, აღმოჩნდება რომ განაცხადში ფართობად (შემდგომში დაზღვეული ფართობი) რეალურზე ნაკლები ფართობია მითითებული, ამ პირობებში მოცემული წესით **ძირითადი პროდუქტისთვის** გამოთვლილი ანაზღაურება შემცირდება დაუზღვეველი ფართობის რეალურ ფართობთან შეფარდების პროპორციულად.

სხვა დაზღვევა

კომპენსაციის პრინციპის თანახმად, **თქვენ** არ გაქვთ უფლება მიიღოთ რეალურ ზარალზე მეტი თანხა. შესაბამისად, თუ **თქვენი** ინტერესი ზარალის მომენტში, დაფარული აღმოჩნდება სხვა პოლისითაც, ამ პირობების წესით გამოთვლილი ანაზღაურება (რომელსაც მიიღებდით **სხვა დაზღვევის** არარსებობის შემთხვევაში), შემცირდება ყველა მზღვეველის მიერ გასაცემ ჯამურ თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

აქვე, მოვალე ხართ, **სხვა დაზღვევის** წარმოქმნის მომენტში, გაგებისთანავე, დაუყოვნებლივ, გვაცნობოთ მზღვეველის ვინაობის და სადაზღვევო დაფარვის დეტალების მითითებით.

ანაზღაურების გაცემის წინაპირობა - სუბროგაცია

თუ გაირკვა, რომ **დაზღვეული ქონების** დაკარგვა/განადგურება/დაზიანება გამოწვეული იყო მესამე პირის (მათ შორის მოიჯარის) ქმედებით, **ჩვენი** მხრიდან ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, მესამე პირისადმი, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება **ჩვენზე** გადმოდის.

საკუთრების უფლება ნარჩენებზე

ზარალის დარეგულირებისას, **ჩვენგან** მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული ხართ გადმოგვცეთ საკუთრების უფლება დაკარგულ ქონებაზე/ განადგურებული ქონების ნარჩენებზე/ დაზიანებული ქონების შეცვლილ ნაწილებზე. ბინის განადგურების შემთხვევაში ასევე, ვალდებული ხართ, გადმოგვცეთ საკუთრების უფლება შესაბამის წილ მიწის ნაკვეთზე და განადგურებულ ბინაზე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება საკუთრების უფლების გადმოცემა, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ საკუთრების/ქონების ნარჩენის ან შეცვლილი ნაწილების ღირებულება გამოვქვითოთ გასაცემი ანაზღაურებიდან ან, მოვითხოვოთ გაცემული ანაზღაურების უკან დაბრუნება.

II სექცია - ზარალის შემთხვევაში

გთხოვთ, **დაზღვეული ქონების** დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტის გაგებისთანავე, დაუყონებლივ გვაცნობოთ სატელეფონო ცენტრში, ნომერზე: +995 32 2444 999.

შემთხვევის დასაფიქსირებლად, **ჩვენი** სატელეფონო ცენტრის ოპერატორს დასჭირდება **თქვენი** პირადი მონაცემები და შემთხვევის დეტალები.

ზოგადად, ნებისმიერი სახის ზიანის დადგომისას, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიიღოთ ქონების გადასარჩენად მიმართული ყველა გონივრული ზომა (მაგ. ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის/ვანდალიზმის დროს- აუცილებელია გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია, ხანძრის (აფეთქება) დროს- აუცილებელია გამოიძახოთ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი (სახანძრო) და საპატრულო პოლიცია). ზიანთან დაკავშირებული, ყველა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი აუცილებლად უნდა მოგვაწოდოთ. ასევე, **ჩვენთან** შეუთანხმებლად, ნუ შეცვლით ზიანის ამსახველი ვითარებას და ნუ მიიღებთ დაზიანებული ქონების აღსადგენ ზომებს.

შემთხვევის დაფიქსირების შემდგომ, მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე, მოგაწვდით დეტალურ ინსტრუქციებს თუ რა დაგვჭირდება შემთხვევის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად.

ყველა აუცილებელი საბუთის და ინფორმაციის მიღების შემდგომ, 10 სამუშაო დღის ვადაში, შეგატყობინებთ დაკმაყოფილდება თუ არა **თქვენი** მოთხოვნა და რა თანხით. თანხის გაცემა ხდება, ორმხრივად ხელმოწერილი აქტის საფუძველზე, რაც წარმოადგენს ორივე მხარის მიერ ანაზღაურებაზე შეთანხმების დასტურს.

ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ შემთხვევასთან დაკავშირებით **თქვენ**, დაზღვეული ქონების მესაკუთრის, მასში მუდმივად მცხოვრები პირის ან ჩამოთვლილიდან რომელიმეს ნებართვით **დაზღვეულ ტერიტორიაზე** მყოფი პირის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

პრემიის პერიოდულად გადახდის შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ ანაზღაურების ოდენობიდან გამოვქვითოთ გადასახდელი **პრემია** სრული ოდენობით.

შემთხვევის გამომწვევი მიზეზების ან ზარალის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, **თქვენ**, უფლებამოსილი ხართ, **თქვენი** ხარჯით, მოითხოვოთ აკრედიტირებული ექსპერტიზის ჩატარება.

III სექცია - ხელშეკრულების შეწყვეტა უარი ანაზღაურებაზე

ქვემოთ, მოყვანილია ანაზღაურებაზე უარის თქმის და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

უარი ანაზღაურებაზე

ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე თუ, **თქვენ**:

- **დაზღვეული ქონების** მესაკუთრემ, მასში მუდმივად მცხოვრებმა პირმა ან ჩამოთვლილიდან რომელიმეს ნებართვით დაზღვეულ სახლში მყოფმა პირმა ჩაიდინა განზრახ ქმედება ან გამოიჩინა უხეში გაუფრთხილებლობა.

- **დაზღვეული ქონების** დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტი, არ შეგვატყობინეთ გაგებიდან 24 საათში.

- **სხვა დაზღვევის** წარმოქმნის შემთხვევაში ინფორმაცია, გაგებისთანავე, არ მოგვაწოდეთ.

- სადაზღვევო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, წარმოადგინეთ არაზუსტი/ყალბი ინფორმაცია, საბუთი ან ცნობა.

- **უკიდურესი კეთილსინდისიერების** დათქმის თავში მითითებული ინფორმაცია დროულად არ გვაცნობეთ ან **თქვენი** შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს, ან დაზღვევის განაცხადში **თქვენ** მიერ მითითებული ინფორმაცია არაზუსტი ან ყალბია (მაგ. არასწორად მიუთითეთ შენობის აშენების წელი).

- არ მიიღეთ ყველა შესაძლო გონივრული ზომა მიმართული ზარალის მინიმიზაციისკენ, დაზღვეული ქონების გადასარჩენად/შესანარჩუნებლად.

- არ ითანამშრომლეთ **ჩვენთან** სადაზღვევო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, მათ შორის არ შეასრულეთ **ჩვენი** მითითებები.

- **ჩვენთან**, წინასწარი შეთანხმების გარეშე მიიღეთ დაზიანებული ქონების აღსადგენი ზომები ან შეცვალეთ ზიანის ამსახველი ვითარება.

- **ჩვენთან**, წინასწარი, წერილობითი, შეთანხმების გარეშე აღიარეთ ბრალი ან გადაუხადეთ მესამე პირს (მათ შორის მოიჯარეს) კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო/სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები.

- მესამე პირთა (მათ შორის მოიჯარის) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, თავად სცანით სარჩელი (ან მისი ნაწილი) ან/და დაზარებულ მხარესთან მორიგდით **ჩვენთან** წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, ან **თქვენ** წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

- უარი თქვით შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ **თქვენ** მოთხოვნაზე ან მოთხოვნის უფლებაზე ან არ მოგვაწოდეთ ის საბუთები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად, რის შედეგადაც **ჩვენ** მიერ სუბროგაციული უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა.

ხელშეკრულების შეწყვეტა

ზემოთ მითითებული გარემოებების გამოვლინების შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ ცალმხრივად შევწყვიტოთ ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა ასევე ხდება ერთ-ერთი მხარის სურვილით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სადაზღვევო **პრემიის** შეწყვეტის თარიღისთვის **გამოუმუშავებელი**[1] **პრემიის** 80% აღარ ექვემდებარება გადახდას, ან თუ უკვე გადახდილია სრულად (ან ნაწილობრივ), ასეთ შემთხვევაში უკან დაგიბრუნებთ. **გამოუმუშავებელი** პრემიის 20%-ს კი ვიტოვებთ მომსახურებაზე გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების საკომპენსაციოდ.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები:

დამზღვევი უფლებამოსილია, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე: დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

დამზღვევი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე თავით განსაზღვრული საფუძვლით უარი თქვას ხელშეკრულებაზე და შესაბამისად აღნიშნული საფუძვლის მოქმედება მოქმედება არ ვრცელდება :

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელის მოქმედების ვადა უარის თქმის პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:

წინამდებარე თავით განსაზღვრული საფუძველით, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია:

- დამზღვევს გადახდილი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. მზღვეველი ვალდებული არ არის, დამზღვევს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის მიერ არასტანდარტული ან მზღვეველის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

---

[1] გამოუმუშავებელი პრემია - **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის **დაზღვევის პერიოდის** ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა

- თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომელიც დამზღვევმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

წინამდებარე "ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობებისათვის" გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

დისტანციურად დადებული ხელშეკრულება *- დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველსა და მომხმარებელს შორის, მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.*

სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება *– დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მზღვეველსა და დამზღვევს შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მათ ფიზიკურ თანაყოფობას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დამზღვევმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო მზღვეველისაგან სარეწის გარეთ, მზღვეველისა და დამზღვევის ფიზიკური თანაყოფობისას.*

შეკითხვის, სურვილის თუ პრეტენზიის შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდით ან მოგვმართეთ:

+995 32 2444 999

ᲡᲠᲘᲐᲛᲝ